

ანი ბეზანტი

Annie Besant

მორალის საფუძვლები

The Basis of Morality

გამომცემლობა „აქტი“

თბილისი / 2024

„მორალის საფუძვლები“ გახლავთ ნაშრომი, რომელიც შეისწავლის იმ ფუნდამენტურ პრინციპებს, ეთიკურ ქცევებსა და სათნო ყოფა-ცხოვრებას რომ ეხმიანება. 1891 წელს გამოქვეყნებული ეს დამაფიქრებელი ტრაქტატი ასახავს ბეზანტის ღრმა შეხედულებებს მორალისა და ზნეობის ბუნების შესახებ, ეყრდნობა რა მის მრავალფეროვან ინტელექტუალურ და სულიერ გავლენას.

მთარგმნელი: დავით ცომაია
კორექტორი: ნინო ჯავახიშვილი
გამომცემელი: გიზო ცაცუა
გამომცემლობა „აქტი“, 2024
ვებ-გვერდი: AKTI.GE
© გამომცემლობა „აქტი“
ISBN 978-9941-8-6597-8

სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვაობა.....	4
გამოცხადება.....	11
ინტუიცია.....	21
სარგებლიანობა.....	32
ევოლუცია.....	45
მისტციზმი.....	64

ანი ბეზანტის „მორალის საფუძვლები“ გახლავთ ნაშრომი, რომელიც შეისწავლის იმ ფუნდამენტურ პრინციპებს, ეთიკურ ქცევებსა და სათნო ყოფა-ცხოვრებას რომ ეხმიანება. 1891 წელს გამოქვეყნებული ეს დამაფიქრებელი ტრაქტატი ასახავს ბეზანტის ღრმა შეხედულებებს მორალისა და ზნეობის ბუნების შესახებ, ეყრდნობა რამის მრავალფეროვან ინტელექტუალურ და სულიერ გავლენას.

ნაწარმოების შუაგულში დგას ბეზანტის რწმენა, რომლის მიხედვითაც მორალი არ არის თვითნებური წესების ერთობლიობა – თითქოს დაწესებული გარედან მოქმედი ფაქტორებისაგან – არამედ ის წარმოიქმნება თითოეული ინდივიდის თანდაყოლილი მორალური გრძნო-

ბიდან. ავტორი ამტკიცებს შემდეგს: მორალის საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ აღიარებული იქნას ჩვენი ურთიერთდაკავშირება მთელ ყოფიერებასთან, რა ყველაფერსაც წარმოადგენს თითოეული მოაზროვნე არსების თანდაყოლილი ღირსება და ღირებულება. ეს ჰოლისტიკური პერსპექტივა ეხმიანება აღმოსავლურ ფილოსოფიებში არსებულ თემებს, როგორცაა ბუდიზმი და თეოსოფია, რომლებიც ხაზს უსვამს მთელი ეგზისტენციის ერთიანობასა და ყველა არსების ურთიერთდამოკიდებულებას.

ბეზანტი იკვლევს თანაგრძნობის როლს, როგორც მორალური ქცევის ქვაკუთხედს, ხაზს უსვამს ემპათიის, სიკეთისა და კეთილგანწყობის მნიშვნელობას ჰარმონიული ურთიერთობებისა და სოციალური ერთიანობის ხელშეწყობაში. იგი ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტი მორალი წარმოიქმნება სხვების ტანჯვის ღრმა გაგებით და მისი შესუბუქების გულწრფელი სურვილით. თანაგრძნობის გამომუშავების მეშვეობით ინდივიდები არა მხოლოდ აძლიერებენ საკუთარ მორალურ ხასიათს, არამედ ხელს უწყობენ მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობას.

აღნიშნულ ტექსტში ანი ბეზანტი ასევე განიხილავს კარმის კონცეფციასა და მის გავლენას ეთიკურ ყოფა-ცხოვრებაზე. ჰინდუისტური და

ანი ბეზანტი

მორალის საფუძვლები

ბამოცხადება

აუცილებელია თუ არა, რომ მორალი და რელიგია თანაარსებობდნენ? შესაძლოა ერთი ისწავლებოდეს მეორის გარეშე? – ეს განმანათლებლებისათვის პრაქტიკულ კითხვას წარმოადგენს. ფრანგები ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ცდილობდნენ იმ თვალსაჩინო კატეხიზმით¹, რომელიც ბოროტების გასახანგრძლივებლად მოგვეცა. განათლების გარდა, მოცემული კითხვა იმ ფუნდამენტურ პრინციპებზე, რომლებსაც მორალი ემყარება (საფუძველი, რომელზედაც მორალის

1. კატეხიზმო – ქრისტიანული რელიგიის პრინციპების შევამება კითხვა-პასუხის სახით, რომელიც გამოიყენება რელიგიური სწავლებისათვის.

პრინციპები დგას) – გაუძღვებას თუ არა ყველა ცხოვრებისეულ განსაცდელს – მრავალი წელია აქტუალურია, და რომელზედაც პასუხი მაშინ გვექნება, თუ გვეცოდინება მიზეზი, რატომ არის რაიმე სწორი ან არასწორი.

რელიგიები, რომლებიც დაფუძნებულია გამოცხადებაზე, შთაგონებაში პოულობენ საკუთარი მორალის საფუძველს, რაც მათთვის ჭეშმარიტია, რადგან ამ ყველაფერს აღნიშნული გამოცხადების მაუწყებელი ასე მიუთითებთ, ხოლო ის, რაც არასწორია – მხოლოდ იმიტომ, რომ სწორედ მისგანაა აკრძალული. ამავედროულად, სწორისა და არასწორის გარჩევა ღმერთის, რშის² ან წინასწარმეტყველის მოძღვრების მიხედვით ხდება და თვით ჭეშმარიტება ეფუძნება იმ კანონმდებლის ნებას, რომელიც [წმინდა] წერილშია ნახსენები.

ყველა გამოცხადებას აქვს ორი უარყოფითი მხარე მორალის საფუძველში. ის უძრავი, მუდმივი და, აქედან გამომდინარე, არაპროგრესულია. იმ დროს, როდესაც ადამიანი პროგრესირებს, განვითარების გვიანდელ ეტაპზე აღნიშნულ გამოცხადებაში შთაგონებული მორალი არქაული და შეუსაბამო ხდება. წიგნი უკვე დაწერილია და ის

2. რში – ჰინდუიზმში ღვთაებრივად შთაგონებული პოეტი ან ბრძენი, რომელსაც წმინდანად მოიხსენებენ

ინტუიცია

შემეცნებისას მიზეზი და მორალის აღქმა შეუძლებელს ხდის გამოცხადების, როგორც მორალის დასაბამის, მიღებას. სტუდენტი, განსაკუთრებით კი დასავლეთში, შესაფერისია იმისთვის, რომ შემდეგმა დატესტოს „ინტუიცია“, როგორც ეთიკის სავარაუდო საფუძველი. ეს მოსაზრება აღმოსავლეთში მოაზროვნეთათვის იმ კუთხით არ განიხილება, რა კუთხითაც მას დასავლეთში ვხვდებით. მორალისტები აღმოსავლეთში ეთიკას გამოცხადებაზე⁹ აფუძნებენ, ან ევოლუციაზე, ხანაც – გაცხადებაზე... ეს უკანასკნელი კი მისტი-

9. Revelation.

ციზმის დასაბამად გვევლინება. მორალისტების – თეოდორ პარკერის, ფრანსის ფაუერ ქობის¹⁰ – და ასევე მრავალი თეისტის მიხედვით, ინტუიცია გვევლინება ისე, როგორც „ხმა ღვთისა“ ადამიანის სულში და მათი დახმარებით ეს იდენტიფიცირებულია სინდისთან. ამგვარად, მორალის საწყისად ინტუიციის მიჩნევა იგივეა, რომ სინდისი მივიჩნიოთ მორალის საფუძვლად და გამოვაცხადოთ მორალურ ვალდებულებად – ხმა, რომელიც ავტორიტარულად გვკარნახობს, თუ რა გვმართებს და რა – არა.

ახლა ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ თითოეული ადამიანისთვის არ არსებობს იმაზე უკეთესი და სანდო წინამძღოლი, როგორც საკუთარი სინდისია, და, როდესაც მორალისტი ცნობისმოყვარეებს ასე უპასუხებს: „დაემორჩილე შენს სინდისს“ – ის მათ ეთიკური რჩევის მაგალითს აძლევს. არანაკლებ გადაულახავ სირთულეებს აწყდება მოაზროვნეც სინდისის, როგორც ეთიკის საფუძვლის, მიღებისას. ვინაიდან იგი აღმოაჩენს, რომ „სინდისის ხმა“ ცვალებადი და განსხვავებულია ცივილიზაციების, განათლების,

10. ფრანსის ფაუერ ქობი – მე-19 საუკუნეში მოღვაწე ბრიტანელი ფილოსოფოსი, რელიგიური მოაზროვნე და სოციალური რეფორმატორი.